1981

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს
საბჭოთა
სოციალისტური
რესპუბლიკის

პროლეტარებო
ყველა
ქვეყნისა,
შეერთდით!

№ 8

1981

უმაღლესი საბჭოს

უწყებები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 8 (488) ივლისი 1981 წელი

16 510

შინაარსი

განკოფილება პირველი

148. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს საქართველოს სსრ გაზიფიკაციის რესპუბლიკურ სახელმწიფო კომიტეტად გარდაქმნის შესახებ.

149. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების, ორგანიზაციებისა და თანამდებობის პირთა ალმებისა და ვიმპელების შესახებ.

150. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ქალაქ-კურორტ გაგრის ახალი საზღვრების დამტკიცების შესახებ.

განკოფილება მეორე

151. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

152. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მთავარი საარქივო სამმართველოს მუშაკებისათვის „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

153. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. თ. ს. ბაღდაგაძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

154. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. თ. ა. ყეფშრიასათვის „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

ქ. ბან... სახ. საქ. სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

155. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ სპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

156. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ სპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

157. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რესპუბლიკის ქეტალურგიული მრეწველობის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ სპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

158. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საქართველოს სსრ კავშირგამბმულობის დამსახურებული მუშაკის“ სპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

159. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ვ. ბერეზოვსკისათვის „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ სპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

160. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ვ. ერზინკიანისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის“ სპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

161. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ლ. ს. კასუმოვასათვის „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ სპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

162. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ვ. კილაძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ბუხჰალტრის“ სპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

163. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. რ. ჯაოშვილისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ სპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

164. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ლ. ქ. ლომოის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

165. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. დ. ი. მანდარიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

166. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ლ. დ. შაკაცოშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

167. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. დ. ჯალიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

168. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

169. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. კ. გომიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

170. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ა. ბაჭკორიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

171. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. კ. ჩაჩიბაიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

172. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ს. ჯანჯღავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

173. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რესპუბლიკის მეტალურგიული მრეწველობის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

174. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

175. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. შ. ს. აკობაას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

176. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. რ. ტ. ბექანიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

177. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. კ. ი. მუმლაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

178. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. მ. რუხაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

179. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. რ. დ. ფანცხავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

180. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ზ. გ. შოშიტაიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში
ცვლილებები ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

148 საქართველოს სსრ გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს საქართველოს სსრ გაზიფიკაციის რესპუბლიკურ სახელმწიფო კომიტეტად გარდაქმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გარდაიქმნას საქართველოს სსრ გაზიფიკაციის მთავარი სამმართველო საქართველოს სსრ გაზიფიკაციის რესპუბლიკურ სახელმწიფო კომიტეტად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 17 ივლისი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

149 საქართველოს სსრ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების, ორგანიზაციებისა და თანამდებობის პირთა ალმებისა და ვიმპელების შესახებ

„სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების, ორგანიზაციებისა და თანამდებობის პირთა ალმებისა და ვიმპელების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წლის 15 აგვისტოს ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებს, ორგანიზაციებსა და თანამდებობის პირებს შეუძლიათ იქონიონ ალმები და ვიმპელები, რომლებიც მათი სიმბოლოები და განმასხვავებელი ნიშნებია სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით ან შესაბამისი საზოგადოებრივი ორგანიზაციების წესდებებით (დებულებებით) გათვალისწინებულ შემთხვევებში.

2. საქართველოს სსრ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების, ორგანიზაციებისა და მათი თანამდებობის პირთა ალმები და ვიმპელები მტკიცდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ ან მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით.

აღნიშნული ალმებისა და ვიმპელების აღმართვის წესები დგინდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. საქართველოს სსრ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები და თანამდებობის პირები ინარჩუნებენ უფლებას ამ ბრძანებულების გამოცემამდე მოქმედი წესის მიხედვით დამტკიცებულ შესაბამის ალმებსა და ვიმპელებზე.

4. არ დაიშვება საქართველოს სსრ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების, ორგანიზაციებისა და თანამდებობის პირთა ალმებისა და ვიმპელების დამტკიცება, თუ ისინი სხვა არსებული საბჭოთა და სახელმწიფოთაშორისო ალმებისა და ვიმპელების მსგავსია. დაუშვებელია აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციების წესდებებით ან საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ემბლემებისა და სხვა ნიშნების გამოსახულებიანი ალმებისა და ვიმპელების დამტკიცება, თუ სხვა რამ არ გამომდინარეობს შესაბამისი წესდებებიდან და ხელშეკრულებებიდან.

5. საქართველოს სსრ ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოს, ორგანიზაციისა და თანამდებობის პირთა ალმები და ვიმპელები ექვემდებარებიან რეგისტრაციას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით.

დადგენილი წესით არარეგისტრირებული ალმებითა და ვიმპელებით სარგებლობა ნებადართული არ არის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშკარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 24 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

150 ქალაქ-კურორტ გაგრის ახალი საზღვრების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 9 იანვრის № 15 დადგენილებით მოწონებული და წარმოდგენილი ქალაქ-კურორტ გაგრის ახალი საზღვრები თანდართული აღწერილობის მიხედვით. ამასთან განისაზღვროს მისი ტერიტორიის საერთო ფართობი საქალაქო საზღვრის ფარგლებში 1.750 ჰექტარის ოდენობით, დანართის თანახმად.

2. დაწესდეს, რომ ქალაქ-კურორტ გაგრის ფარგლებში მოქცეული სასოფლო-სამეურნეო მიწები, აგრეთვე ტყის სავარგულები რჩება მიწათმოსარგებლეთა განკარგულებაში და მათი გამოყოფა არასასოფლო-სამეურნეო საჭიროებისათვის ქალაქის განვითარებასთან დაკავშირებით ყოველ ცალკეულ შემთხვევაში უნდა მოხდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. აეკრძალოს ყველა მიწათმოსარგებლეს ყოველგვარ სამშენებლო სამუშაოთა შესრულება, მრავალწლოვანი კულტურების გაშენება ქალაქ-კურორტ გაგრის ახალი საზღვრის ფარგლებში გაგრის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომთან შეუთანხმებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 30 ივლისი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის 1981 წლის 30 ივლისის
ბრძანებულების დანართი

ქალაქ-კურორტ გაგრის საზღვრების აღწერილობა

ქალაქ-კურორტ გაგრის საქალაქო საზღვრის საწყის წერტილად მიღებულია სანატორიუმ „უკრაინის“ ჩრდილო-დასავლეთი საზღვრის შტოს სანაპირო ხაზთან გადაკვეთის ადგილი — № 1 წერტილი.

აქედან ქალაქის საზღვარი, რომელიც ემთხვევა სანატორიუმ „უკრაინის“ ტერიტორიის საზღვარს, მიდის № 2 წერტილამდე (150 მეტრი), შემდეგ უხვევს სამხრეთისაკენ და ფერდობით მიუყვება სანატორიუმ „უკრაინის“ ტერიტორიულ საზღვარს № 3 წერტილამდე (1350 მეტრი), № 3 წერტილიდან მკვეთრად უხვევს მდინარე ჟოეკვარის ხეობაში და გადის ციცაბო მთის ფერდობების ძირში, მოიცავს რა მთელ განაშენიანებულ ტერიტორიას კასკადამდე, სადაც არის № 4 წერტილი (1100 მეტრი), შემდეგ გადაკვეთს მდინარე ჟოეკვარას და გასდევს მის სამხრეთ ნაპირს № 5 წერტილამდე (3400 მეტრი), საიდანაც უხვევს 90 გრადუსით და დასავლეთის მიმართულებით მიდის რკინიგზის ხაზის გადაკვეთამდე, სადაც აღინიშნება № 6 წერტილი (130 მეტრი).

აქედან ქალაქის საზღვარი ემთხვევა რკინიგზის ხაზს ალპურ ქუჩასთან № 7 წერტილში მის გადაკვეთამდე (850 მეტრი); № 7 წერტილიდან მიდის აღმოსავლეთისაკენ სანატორიუმ „მაიაკის“ საზღვრის გასწვრივ და მისი შემოვლით აღწევს № 8 წერტილს; შემდეგ მიუყვება ალპურ ქუჩას № 9 წერტილამდე (4050 მეტრი) და რკინიგზის ხაზით პარალელურად მიდის № 10 წერტილამდე (850 მეტრი).

№ 10 წერტილიდან ქალაქის საზღვარი კომაროვის ქუჩის გაყოლებით აღწევს მდინარე კოლხიდასთან გადაკვეთამდე № 11 წერტილში (3100 მეტრი), შემდეგ — მდინარე კოლხიდის რკინიგზის ხაზთან გადაკვეთამდე № 12 წერტილში (800 მეტრი), № 12 წერტილიდან ემთხვევა რკინიგზის ხაზს № 13 წერტილამდე (1850 მეტრი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ ქალაქის საზღვარი უხვევს დასავლეთისაკენ 90 გრადუსით და ბოსტნეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობისა და მეფრინველეობის ფაბრიკის ტერიტორიის საზღვრის გაყოლებით მიდის სანაპირო ხაზთან გადაკვეთამდე № 14 წერტილში.

ქალაქის საზღვარი დაბა ბზიფის რაიონში, რომელიც ქალაქ-კურორტ გაგრის ადმინისტრაციულ საზღვრებში შედის, იწყება № 15 წერტილში. ეს უკიდურესი დასავლეთი წერტილი მდებარეობს სახლთსაშენებელი კომბინატის დასავლეთი სახღვრის გაგრძელების რკინიგზის ხაზთან გადაკვეთის ადგილზე.

აქედან ქალაქის სახღვაარი მიემართება ჩრდილოეთით სოჭ-სოხუმის სატრანზიტო საავტომობილო გზამდე, სადაც აღინიშნება № 16 წერტილი (150 მეტრი), შემდეგ ამ გზის გასწვრივ — აღმოსავლეთისაკენ № 17 წერტილამდე (450 მეტრი), შემოუვლის სახლთსაშენებელი კომბინატის დასახლების საცხოვრებელ ტერიტორიებს, აღნიშნული დასახლების განვითარების სარეზერვო ტერიტორიებს და კვლავ გამოდის სატრანზიტო საავტომობილო გზებზე ახალ საშუალო სკოლასთან № 18 წერტილში, რომელიც ასევე მოექცევა ქალაქის საზღვარში, შემდეგ მიდის სატრანზიტო გზის ტრასით № 19 წერტილამდე (1650 მეტრი).

შემდეგ ქალაქის საზღვარი უხვევს ჩრდილოეთისაკენ 90 გრადუსით და ხე-ტყის მრეწველობის მეურნეობის აღმოსავლეთი საზღვრის გაყოლებით მიდის მდინარე ბზიფამდე — № 20 წერტილი, აქედან — მდინარის გასწვრივ, დასავლეთისაკენ იმ ადგილთან, სადაც მთავრდება კარიერი,— № 21 წერტილი (3700 მეტრი), შემდეგ მკვეთრად უხვევს ჩრდილოეთისაკენ და გამოდის რკინიგზის ხაზზე — № 22 წერტილი (1100 მეტრი), საიდანაც რკინიგზის ხაზის გასწვრივ აღწევს საწყის — № 1 წერტილს (1650 მეტრი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

განკოფილება მეორე

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

151 მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

ხანძრის ჩაქრობის დროს გამოჩენილი მამაცობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით მედლით **„ხანძარზე მამაცობისათვის“** დაჯილდოვდნენ:

ნოდარ ბიჟიკოს ძე **გუდავაძე** — ქ. რუსთავის № 16 გასამხედროებული სახანძრო ნაწილის მეხანძრე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევან დავითის ძე **ფუხაშვილი** — ქ. რუსთავის სახანძრო დაცვის განყოფილების უფროსი.

მუხამედ მუხამედის ძე **რუსტამოვი** — ქ. რუსთავის № 46 პროფესიული სახანძრო ნაწილის ყარაულის უფროსი.

ომარ ნიკოლოზის ძე **ქიტიაშვილი** — ქ. რუსთავის № 13 გასამხედროებული სახანძრო ნაწილის მეხანძრე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. გილაშვილი.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1981 წლის 30 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

152 მთავარი საარქივო სამმართველოს მუშაკებისათვის „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საქართველოს სსრ საარქივო დაწესებულებებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და რესპუბლიკაში საარქივო საქმის 60 წლისთავთან დაკავშირებით მიენიჭოთ საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი“:**

ვერა სერგის ასულ **არეშოვას** — მცხეთის სახელმწიფო რაიონული არქივის გამგეს.

ლუდმილა პეტრეს ასულ **გილევსკაიას** — საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის არქივის გამგეს.

ვენერა ნიკოლოზის ასულ **სხირტლაძეს** — დოკუმენტების მიკროფილმირებისა და რესტავრაციის რესპუბლიკური ლაბორატორიის რესტავრატორს.

ციალა მიხეილის ასულ **ფხაკაძეს** — საქართველოს სსრ ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური სახელმწიფო არქივის სპეციალური ფონდების განყოფილების გამგეს.

მაყვალა ივანეს ასულ **ცქრიალაშვილს** — ცენტრალური სახელმწიფო არქივის ფილიალის დირექტორს.

ანუსია ნესტორის ასულ **ძაგოევას** — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახელმწიფო არქივის ფონდების მცველს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. გილაშვილი.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1981 წლის 8 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

153 ამხ. თ. ს. გაღდავაძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

პოლიგრაფიულ მრეწველობაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისა და მეათე ხუთწლედის დავალებათა შესრულებაში აქტიური მონაწილეობისათვის თბილისის № 4 სტამბის საგეგმო-საწარმოო განყოფილების უფროსს ამხ. თინა სილიბისტროს ასულ ბაღდავაძეს მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტი“.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშჭარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 8 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

154 ამხ. თ. ა. ყუფუნიასათვის „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სოფლის მეურნეობაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობის, ხარისხოვანი ჩაის ფოთლის მოსავლიანობაში პირველი რეკორდების მიღწევის, ახალგაზრდა მეჩაიეთა კადრების აღზრდის საქმეში დიდი დამსახურებისათვის, ფართო საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და დაბადების ოთხმოც წელთან დაკავშირებით ზუგდიდის რაიონის სოფელ ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირს, ორგზის სოციალისტური შრომის გმირს, ოთხი ლენინის ორდენის კავალერს, საქართველოს სსრ შვიდი მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს ამხ. თამარ ანდრიას ასულ **ყუფუნიას** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკი“.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშჭარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 8 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

155 „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებსა და პოლიგრაფიულ მრეწველობაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი“**:

ალექსანდრე თევდორეს ძე **ბერაძეს** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ბეჭდვით სიტყვაში სახელმწიფო საიდუმლოებათა დაცვის მთავარი სამმართველოს რედაქტორს.

გიორგი ივანეს ძე **დოლიძეს** — საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის კადრების განყოფილების უფროს რედაქტორს.

უშანგი დავითის ძე **კერესელიძეს** — თბილისის ოფსეტური ბეჭდვის ფაბრიკის მთავარ ინჟინერს.

ივანე ისაკის ძე **კობიძეს** — თბილისის № 2 წიგნის ფაბრიკის საამქროს უფროსს.

ანტონ დიომიდეს ძე **მამრიკიშვილს** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბის მერეტუშეს.

ჯუმბერ ვარდენის ძე **მგელაძეს** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ბეჭდვით სიტყვაში სახელმწიფო საიდუმლოებათა დაცვის მთავარი სამმართველოს უფროს რედაქტორს.

მიხეილ კირიაკის ძე **მურადოვს** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მთავარი სამეურნეო სამმართველოს სტამბის ლინოტიპისტს.

ვახტანგ ანდრიას ძე **პეტრიაშვილს** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ბეჭდვით სიტყვაში სახელმწიფო საიდუმლოებათა დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილეს.

ვახტანგ ალექსანდრეს ძე **ჟვანიას** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ბეჭდვით სიტყვაში სახელმწიფო საიდუმლოებათა დაცვის მთავარი სამმართველოს უფროს რედაქტორს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშჭარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 9 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

156 „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

კავშირგაბმულობის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“**:

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიგოლ ლევანის ძე **დარასელიას** — ზუგდიდის კავშირგაბმულობის № 7 საექსპლუატაციო-ტექნიკური კვანძის ინჟინერს.

ვახტანგ ლავრენტის ძე **ყუბანეიშვილს** — საქართველოს რესპუბლიკური რადიოცენტრის უფროსს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 24 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

157 რესპუბლიკის მეტალურგიული მრეწველობის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

რესპუბლიკის მეტალურგიული მრეწველობის განვითარების დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“

დარმანტი ამბერკის ძე **ბოგვერაძეს** — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ტექნიკური განყოფილების უფროსის მოადგილეს.

დიმიტრი კალისტრატეს ძე **გამეზარდაშვილს** — სამთამადნო კომბინატ „ჭიათურმანგანუმის“ მთავარი ინჟინრის მოადგილეს სამთო-კაპიტალური სამუშაოების დარგში.

დურმიშხან ნიკოლოზის ძე **გობეჯიშვილს** — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის საწარმოო განყოფილების უფროსის მოადგილეს.

აბრამ მარკის ძე **ოოხვიდოვიჩს** — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეტალურგიულ მოწყობილობათა რემონტის საამქროს ოსტატს.

ავთანდილ კონსტანტინეს ძე **კურცხალიას** — საქართველოს სსრ სახსამთოზედამხედველობის ჭიათურის სამთო-ტექნიკური ინსპექციის უფროსს.

ნოდარ სერგის ძე **მაისურაძეს** — „ცენტრბრძმედრემონტის“ ტრესტის ამიერკავკასიის სპეციალიზებული სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს უფროსს.

სერგო ილიას ძე **პაიჭაძეს** — „საქმეტალურგპროექტის“ მანქანათმშენებელი განყოფილების უფროსს.

აბესალომ ვიქტორის ძე **ჭანტურიას** — მადნეულის სამთოგამამდიდრებელი კომბინატის დირექტორს.

ნოდარ ბარნაბის ძე **ჯაფარიძეს** — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის საწარმოო განყოფილების უფროსს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„საქართველოს სსრ დამსახურებული მშენებელი“

აბესალომ გიორგის ძე **გოგატიშვილს** — რუსთავის მეტალურგიული ქარ ხნის კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს მთავარ ინჟინერს.

მიკადო ვიქტორის ძე **ხარაიძეს** — სამთამადნო კომბინატ „ჭიათურმანგანუმის“ კაპიტალური მშენებლობის განყოფილების რაიონულ ინჟინერს ტექზედამხედველობის დარგში.

„საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტი“

შოთა შალვას ძე **აბრამიშვილს** — სამთამადნო კომბინატ „ჭიათურმანგანუმის“ კალინინის სახელობის მაღაროთსამმართველოს საგეგმო განყოფილების უფროსს.

ზოია ილიას ასულ **სტეპანჩენკოს** — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის შრომის მეცნიერული ორგანიზაციის განყოფლების უფროს ეკონომისტს.

„საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკი“

კორნელი გიორგის ძე **ბარაბაძეს** —სამთამადნო კომბინატ „ჭიათურმანგანუმის“ ხარატს.

იონ დავითის ძე **ბერხოერს** — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მთავარი მექანიკოსის მოადგილეს.

სერგო გიორგის ძე **ბოკოველს** — სამთამადნო კომბინატ „ჭიათურმანგანუმის“ ელმავლის მემანქანეს.

შანია იასონის ძე **გაბრიჩიძეს** — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ამწის მემანქანეს.

ავთანდილ გრიგოლის ძე **გოგოლაძეს** — მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის ოსტატ-ამფეთქებელს.

ვლას კარლოს ძე **გოცაძეს** — სამთამადნო კომბინატ „ჭიათურმანგანუმის“ გვირაბგამყვანს.

მიტუშა იასონის ძე **გრიგალაშვილს** — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მდნობელს.

ნოდარ ნესტორის ძე **გუნიავას** — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ორთქმავლის მემანქანეს.

ვახტანგ მირიანის ძე **ზურაბაშვილს** — რუსთავის მეტალურგიული ქარ ხნის მარტენის საამქროს უფროსის თანაშემწეს ელექტრომოწყობილობათა დარგში.

მიხეილ ალექსანდრეს ძე **კლდიაშვილს** — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მბურღავს.

გიორგი სტეფანეს ძე **მეითარჯიევს** — მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის ზეინკალს.

ბორის ნაუმის ძე **პალეის** — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მთავარ ეკონომისტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გივი სევერიანეს ძე **ფხაკაძეს** — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ენერგეტიკული საამქროს უფროსს.

გურამ იასონის ძე **ქათამაძეს** — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მდნობელს.

ვაჟა ნიკოლოზის ძე **ყუფარაძეს** — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის უფროს მდნობელს.

ომარ ალექსანდრეს ძე **ჯანგავაძეს** — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ამწის მემანქანეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 24 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

158 „საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

კავშირგაბმულობის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის დამსახურებული მუშაკი“:**

ვალერიან პეტრეს ძე **ბიბილაშვილს** — რადიოფიკაციის რესპუბლიკური კვანძის მონტიორს.

მარია მაქსიმეს ასულ **ბოგომაზოვას** — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველობის ავტომატური სატელეფონო სადგურის ტელეფონისტს.

კალენიკე იასონის ძე **იჩქითიძეს** — თბილისის ფოსტამტის ფოსტალიონს.

გერსან მიხეილის ძე **მაკიევს** — ცხინვალის რაიონის ღრომის კავშირგაბმულობის განყოფილების უფროსს.

პავლე ეფრემის ძე **მაჩეხინს** — „სპეცმშენმონტაჟის“ **სამმართველოს** ელექტრომემონტაჟეს.

ვალერიან სიმონის ძე **მსუქნიშვილს** — თელავის კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის უფროსს.

დიმიტრი ივანეს ძე **საპუხინს** — სოხუმის საქალაქო სატელეფონო სადგურის ელექტრომონტიორს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედეა იოსების ასულ **უნაფქოშვილს** — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველობის ავტომატური სატელეფონო სადგურის ინჟინერს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 24 ივლისი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

159 ამხ. ა. ვ. ბერეზოვსკისათვის „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო ჭიალების მინიჭების შესახებ

მესაზღვრე-მეომართა და სასაზღვრო რაიონების ადგილობრივ მცხოვრებთა პატრიოტულ და ესთეტიკურ აღზრდაში დიდი წვლილისათვის და საბჭოთა საქართველოს შექმნის 60 წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის პოდპოლკოვნიკს ამხ. ალექსანდრე ვასილის ძე **ბერეზოვსკის** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი“.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 24 ივლისი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

160 ამხ. ა. ვ. ერზინკიანისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტი“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

კავშირგაბმულობის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის სპეციალურ კავშირის რესპუბლიკური კვანძის უფროს ეკონომისტს ამხ. ანა ვაჰაგის ასულ **ერზინკიანს** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტი“.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 24 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

161 ამხ. ლ. ს. კასუმოვასათვის „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისა და მშრომელთა მხატვრული აღზრდის საქმეში დამსახურებისათვის კავშირგაბმულობის მუშაკთა კულტურის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელს ამხ. ლიდა სერგის ასულ კასუმოვას მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი“.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილასვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 24 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

162 ამხ. გ. ვ. კილაძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ბუხჰალტრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

კავშირგაბმულობის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის კავშირგაბმულობის მახარაძის რაიონული კვანძის მთავარ ბუხჰალტერს ამხ. გიორგი ვლასის ძე **კილაძეს** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული ბუხჰალტერი“.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილასვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 24 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

163 ამხ. გ. რ. ჯაოშვილისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

კავშირგაბმულობის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის კავშირგაბმულობის ნაგებობათა ძიებისა და დაპროექტების სახელმწიფო ინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტატუტის არქიტექტურულ-სამშენებლო განყოფილების უფროსს ამხ. გიორგი რაკიდენს ძე ჯაოშვილს მიენიჭოს საპატიო წოდება „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 24 ივლისი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

164 ამხ. ლ. ქ. ლომიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოფლის მეურნეობის დარგში ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ოთხმოც წელთან დაკავშირებით ცხაკიას სახელმწიფო სანერგე მეურნეობის ყოფილი დირექტორი, ამჟამად პენსიონერი ლევთერ ქიშვარდის ძე ლომია დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 8 ივლისი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

165 ამხ. დ. ი. მანდარიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პოლიგრაფიულ მრეწველობაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით ქუთაისის გ. ტაბიძის სახელობის № 5 სტამბის დირექტორი ამხ. დავით ილიას ძე მანდარია დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 8 ივლისი.

ქ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო რესპუბლიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

166 ᲐᲛᲮ. Ლ. Დ. ᲨᲐᲕᲐᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲡᲘᲒᲔᲚᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

